



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ო №12

ქალაქი ბათუმი

2020 წლის 11 დეკემბერი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- |                      |   |
|----------------------|---|
| თამაზ სალუქვაძე      | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;   |
| ლაშა სირაზიძე        | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;   |
| გოჩა მგელაძე         | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების<br>კომისიის თავმჯდომარე;                            |
| დიმიტრი ჭეიშვილი     | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ<br>საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                      |
| ირაკლი პატარიძე      | - საკრებულოს განათლების, კულტურის,<br>ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის<br>თავმჯდომარე;  |
| ზურაბ ნაკაიძე        | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური<br>განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                   |
| ნატალია ზოიძე        | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -<br>დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;              |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -<br>დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის<br>მოადგილე; |
| ნატალია ძიმიგური     | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -<br>კონსერვატორები“ თავმჯდომარე;                       |

- ნერიმან ცინცაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ანზორ დევაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე;
- დავით მახარაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- რაულ თავართქილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;
- ელგუჯა ანდრიაძე - საკრებულოს წევრი;

**არ ესწრებოდნენ:**

- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- თემურ კახიძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი;
- ლევან ანთაძე - საკრებულოს წევრი.

## **სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მოვალეობის შემსრულებელი - არჩილ ჩიქოვანი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მამუკა რამიშვილი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭარაძე.

## **ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:**

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი, განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მარინე ბერიძე;
- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - გურანდა აბულაძე;
- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და წარმატებული დღე უსურვა, ასევე აღნიშნა, რომ ჩატარდა ქვეყანაში დამოუკიდებლობის ისტორიაში გამჭვირვალე და დემოკრატიული არჩევნები. დღეს მრავალპარტიული საქართველოს პარლამენტი იკრიბება 12.00 საათზე და საკრებულოს და მერიის სახელით უსურვა წარმატებები ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ და შემგომი 4 წლიანი ნაყოფიერი მუშაობა საქართველოს პარლამენტს. ასევე მან აღნიშნა, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 12 სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა, მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე, რასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს არ გამოუთქვამთ წინადადება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

## დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

**საკითხი 1.** „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების ნებართვის მფლობელებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №24 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 16 ოქტომბრის №46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქვეყარაძე)

**საკითხი 2.** „საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

**საკითხი 3.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 4.** „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

**საკითხი 5.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 6.** „ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გამო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის, სარგებლობის/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების და პრივატიზებული ან/და სარგებლობის/მართვის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შესრულებისათვის დამატებითი ვადის მიცემის საკითხთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №21 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 8.** „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის N73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 9.** „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 10.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №17 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 11.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 12.** „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, გორგილადის ქ. N91-ში მდებარე 45 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი, დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი - 0

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.**

**სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ** მიმართა კოლეგებს, რომ რამოდენიმე დღეში შეიკრიბება ახლადარჩეული აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭო, უმაღლესი საბჭოს მომავალი წარმომადგენელი ლაშა სირაბიძეა, რომელსაც მიულოცა საპატიო საპასუხისმგებლო საქმე, უსურვა რეგიონის და ქვეყნისთვის სასიკეთო საქმის გაკეთება.

**საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე** - მიესალმა კოლეგებს და ლაშა სირაბიძეს მიულოცა წარმატება. მან სამხმარო გამოთქვა ოჯახის მიმართ უახლოესი მეგობრის, ერთ-ერთი პოლიტიკოსის კობა დავითაშვილის გარდაცვალების გამო, ასევე მიმართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს არჩილ ჩიქოვანს, რომ არაერთხელ სამი წლის განმავლობაში სხდომაზე დაუსვამს კითხვები, კერძოდ, შემოერთებულ ტერიტორიაზე ანგისის, აეროპორტის და ადლიის დასახლებაში დღემდე მოუწესრიგებელია ქუჩებზე სახელების მითითება, მინიშნება და ნომერაცია. ეს ხელს უშლის სასწრაფო დახმარების მანქნის გამოძახებას. ასევე დეზინფექცია უნდა ჩატარებულიყო მთლიანად მრავალსართულიან სახლებში, თუმცა ჩაატარეს მხოლოდ პირველ სართულზე, ეს მითითებაა თუ მათი არასწორი მოქმედება.

**საკრებულოს წევრი - რაულ თავართქილაძე** მიესალმა და ლაშა სირაბიძეს მიულოცა აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევა, რომელიც კარგი ადამიანი და ყველას მეგობარია. ასევე მან აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში ტენდენციად იქცა და ცუდ პრაქტიკად პოლიციელების მიმართ სალანძღვავი სიტყვების გამოხატვა, რაც დამაზიანებელია ჩვენი ქვეყნისათვის. პოლიციელები არიან ის ადამიანები, რომლებიც იცავენ საზოგადოებრივ წესრიგს და ებრძვიან კრიმინალს. ის თანადგომას უცხადებს და მომავლისთვის ასეთი საკითხები არ უნდა გაგრძელდეს. მან ასევე მიესალმა ქალაქ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებლის დასწრებას საკრებულოს სხდომებზე. დასვა საკითხი გორგილაძის ქუჩაზე 101 და 103 ეზოს შორის ტერიტორიის მოწყობის თაობაზე. ბათუმის ტერიტორიაზე მხოლოდ ეს ეზო არის დარჩენილი მოუწესრიგებელი.

**საკრებულოს წევრი - ნატალია ზოიძე** მიესალმა და უმრავლესობის სახელით აღნიშნა, რომ საკრებულოს აქტიური წევრი ლაშა სირაბიძე აგრძელებს თავის პოლიტიკურ საქმიანობას აჭარის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, რაც არამხოლოდ ჩვენთვის არის სასიხარულო, არამედ თითოეული ბათუმელისათვის, იმიტომ რომ სარეიტინგო შკალას თუკი დავათვალიერებთ საკმაოდ მაღალი მხარდაჭერით სარგებლობს. მოსახლეობის მოსაზრებები არის მათთვის მთავარი და ამომავალი და არა რაღაც გაურკვეველი პოლიტიკური გემოვნების ე.წ არასამთავროების, შესაბამისად დაულოცა გზა ბატონ ლაშას უმაღლეს საბჭოში დაწყებული საქმეების გაგრძელება, რასაც ბათუმის საკრებულოში ახორციელებდა და მათი ხმა კარგ საქმეს მოუტანს თითოეულ ბათუმელს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ პერიოდში, როდესაც სამწუხაროდ, ე.წ დესტრუქციული ოპოზიციური ძალა მაქსიმალურად ცდილობს ყველა დემოკრატიული ინსტიტუციის ნგრევას და თან ფსევდო დემოკრატიებად გვევლინებიან. ასევე გამოთქვა კმაყოფილება დღეს მათე მოწვევის პარლამენტის გახსნას და დარწმუნებულია ყველა ამ წინააღმდეგობას დაძლევენ.

**საკრებულოს წევრი - დავით მახარაძე** მიესალმა და მიულოცა საართველოს პარლამენტის მეათე მოწვევის გახსნას და ასევე ლაშა სირაბიძეს მიულოცა აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევა, კაცს, რომელსაც უყვარს თავისი ქალაქი. მან მწუხარება გამოთქვა კოვიდ პანდემიის გამო ვინც შეეწირა, განსაკუთრებით გამოყო ექიმები, რომლებმაც ჯანმრთელობის ფასად დათმეს სიცოცხლე და მომავალი. მან აღნიშნა, რომ რამდენიმე დღეში ავტოტრანსპორტის ახალი რეგულაციები შემოდის ქალაქში, შეიცვლება მიმართულებები და მიმართა თხოვნით საპატრულო პოლიციის მისამართით, რომ ზედმეტად მკაცრები ნუ იქნებიან, მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლონ რამდენიმე დღე.

**საკრებულოს წევრი - ბესარიონ გოგოტიშვილი** მიესალმა და ლაშა სირაბიძეს მიულოცა აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევა. მან აღნიშნა, რომ არჩილ ჩიქოვანი დანიშნვიდან დღემდე უშუალოდ ყველა სხდომას ესწრება, რაც მისასალმებელია. მან დასვა საკითხი მერიის კანცელარიაში გასაკეთებელ მოდერნიზაციის თაობაზე, ასევე ელექტრონული აბრების, მოსახლეობასთან ხელშეწყობის მიზნით.

**საკრებულოს წევრი - ლაშა სირაბიძე** მიესალმა და აღნიშნა, რომ მძიმეა დღევანდელი დღე მისთვის და თან სასიხარულოც რომ ამდენი მეგობარი შეიძინა. მადლობა გადაუხადა საკრებულოს აპარატს, ყველა მერს, რომელთანაც უშუალოდ ჰქონდა კავშირი და რაც გაკეთდა მოსახლეობისათვის, იყო ყოველდღიური შრომა და ჯაფა მათი მხრიდან. მადლობა გადაუხადა არჩილ ჩიქოვანს, რომელთანაც მცირე დროში მასიმალური შეძლეს, მითუმეტეს პანდემიის პერიოდში. დარწმუნებულია, რომ ქალაქ ბათუმის საკრებულო იქნება ის ორგანო, თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, ხოლო ქალაქ ბათუმის მერია - აღმასრულებელი ორგანო, რომლებიც გააგრძელებენ შრომას ქალაქის საკეთილდღეოდ.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ** განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

**საკითხი 1. „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების ნებართვის მფლობელებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №24 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 16 ოქტომბრის №46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავყარაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გამო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 და M3



კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანის შეჩერების ვადით, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების ნებართვის მფლობელები გათავისუფლდნენ ნებართვის გაცემის ფასის გადახდისაგან (2020 წლის დეკემბერი - 2021 წლის იანვარი).

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

საკრებულოს წევრმა დიმიტრი ჭეიშვილმა მიმართა მომხსენებელს, რომ რამდენჯერმე წარმოდგენილ პროექტში ცვლილების შეტანას, უმჯობესია ჩაიწეროს გამოწვევის შემთხვევა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 2. „საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღების მიზეზი და მიზანია: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, საპრივატიზებო ობიექტების პრივატიზების გეგმაში ცვლილების შეტანა, N76 პუნქტით განსაზღვრული, პირობიანი აუქციონით განსაკარგი ობიექტის საპრივატიზებო თანხის გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფრომებიდან 03 თვეში.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე გამოითქვა აზრი, რომელიც მერიამ უნდა განუმარტოს კონკრეტულად მოსახლეობას აღნიშნული ცვლილების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ინფორმაციის კუთხით შესაბამისი ღონისძიება გაკეთდება.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ კარგია, პანდემიის დროს მოქალაქეების გათავისუფლება გადასახადისაგან, მაგრამ სამომავლოდ მოსაწესარგებელია გადასახადის სისტემა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის მიზნით განკარგულების მიღება. ცვლილების შეტანის ინიცირების საფუძველია შპს „ტრანზიტ ინდასტრი დეველოპმენტი“ს (ს/N400281869) დირექტორის გიორგი შოშიტაიშვილის 2020 წლის 19 მარტის N5958/25 განცხადება, რომლითაც განმცხადებელი ითხოვს ქ. ბათუმში მდებარე მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდები: N05.32.06.177; N05.32.06.147; N05.32.06.171; N05.32.06.172 ფუნქციური ზონის ცვლილებას. დღეის მდგომარეობით აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს გამწვანებულ ზონას, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია გამწვანებული ზონის ინდუსტრიულ (ძველი სამრეწველო) ზონად ცვლილება; დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილია დასაბუთება, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: აღნიშნული ტერიტორია ფაქტობრივად წარმოადგენს ინდუსტრიული (ძველი სამრეწველო) ზონის შემადგენელ ნაწილს, რომლის ძირითად ნაწილზე განთავსებული იყო სწორედ სამრეწველო დანიშნულების ობიექტი და ის შემოფარგლულია სხვადასხვა მიმდებარე და გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებით. მიწის ნაკვეთების არსებული მდგომარეობა ვერ პასუხობს გამწვანებული ტერიტორიებისათვის დამახასიათებელ

თვისებებსა და მდგომარეობას, ვინაიდან იქ დღეისათვის განთავსებულია სამშენებლო და სხვა მყარი ნარჩენები, ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილზე ნიადაგი დეგრადირებულია და ასეთი ზონისთვის არის გამოუსადეგარი, ხოლო მისი რეაბილიტაცია სარეკრიაციო ტერიტორიად მოითხოვს მნიშვნელოვან სახელმწიფო სახსრებს, რაც არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მიზანშეუწონელია. სამრეწველო ზონაში განთავსებული სამრეწველო ობიექტების ძირითადი ნაწილი აშენებულია გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში, ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს, ამასთან ისინი წარმოადგენენ კერძო საკუთრებებს და დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელია მათი სწრაფი გადაიარაღება. როგორც ცნობილია, ბოლო წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარება მზარდია და მოითხოვს შესაბამის მხარდაჭერას როგორც ინფრასტრუქტურის ასევე თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამრეწველო ობიექტების არსებობით. ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივად წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ზრდა.

## **ა ზ რ ი**

### **გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

**საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ** აღნიშნა, რომ რეკრეაციულ ზონას ეცვლება სტატუსი, იმისათვის რომ შემდგომში მოხდეს მშენებლობა და მან ამ საკითხს ვერ დაუჭერს მხარს, იქიდან გამომდინარე, რომ ზონას ეცვლება სახელი, რაზედაც მომხსენებელმა გააკეთა განმარტება, რომ აღნიშნულ საკითხს მიეცა ინიცირება, პირველი ეტაპი გეგმაკონცეფციით დამტკიცებულია და ეს ტერიტორია თავისი არსით ვერ პასუხობს რეკრეაციული ზონის მოთხოვნებს, რადგან კუნძულივით დარჩენილი ტერიტორიაა.

**საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ** აღნიშნა, რომ საკითხი შეისწავლეს ადგილზე მისვლით, საუბარია სამრეწველო ზონაზე, იმ პერიოდში რატომ მიანიჭეს რეკრეაციული ზონა პასუხი არ იცის, რის გამოც მათ დაელოდნ გარემოს დაცვის სააგენტოს პასუხს და შესაბამისად მიწის ნაკვეთების არსებული მდგომარეობა ვერ პასუხობს გამწვანებული ტერიტორიებისათვის დამახასიათებელ თვისებებსა და მდგომარეობას.

**საკრებულოს წევრმა მუხამედ ართმელაძემ** მიულოცა ლაშა სირბიძეს, უსურვა წარმატებები. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად პანდემიის პირობებში ვმსჯელობთ ქალაქის კეთილდღეობაზე, მან მაღლობა გადაუხადა მედიკოსებს დაუდალავი შრომისათვის. ასევე აღნიშნა, რომ სამრეწველო ზონაში უფრო მეტი გამწვანება უნდა იყოს, რათა ეკოლოგია იყოს დაცული.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ტერიტორია დაახლოებით 23 ჰექტარია, ჭოროხის პირას და მის მომიჯნავედ არის გამწვანებული ტერიტორიები, ტერიტორია კუნძულივით მოქცეულია სამრეწველო ზონაში და საუბარია იმაზე, რომ ტერიტორია ვერ პასუხობს გამწვანებული ტერიტორიის მოთხოვნებს, რადგან ამ ტერიტორიებზე განთავსებული იყო სამრეწველო ობიექტები, რის გამოც საუბარია ზონის ცვლილებაზე.

საკრებულოს წევრი რაულ თავართქილაძე ანალოგიურად ფიქრობს, რადგან სამრეწველო ზონაში მეტია საჭირო რეკრეაციული ზონა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

არ ესწრებოდა -2 (ი. პატარიძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14

წინააღმდეგი - 2 (რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 4. „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელი აღნიშნა, რომ „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზნით დადგენილების მიღება. ცვლილების შეტანის ინიცირების საფუძველია შპს „ტრანზიტ ინდასტრი დეველოპმენტი“ს (ს/N400281869) დირექტორის გიორგი შოშიტაიშვილის 2020 წლის 19 მარტის N5958/25 განცხადება, რომლითაც განმცხადებელი ითხოვს ქ. ბათუმში მდებარე მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდები: N05.32.06.177; N05.32.06.147; N05.32.06.171; N05.32.06.172 ფუნქციური ზონის ცვლილებას. დღეის მდგომარეობით აღნიშნული ტერიტორია

წარმოადგენს გამწვანებულ ზონას, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია გამწვანებული ზონის ინდუსტრიულ (ძველი სამრეწველო) ზონად ცვლილება; დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილია დასაბუთება, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: აღნიშნული ტერიტორია ფაქტობრივად წარმოადგენს ინდუსტრიული (ძველი სამრეწველო) ზონის შემადგენელ ნაწილს, რომლის ძირითად ნაწილზე განთავსებული იყო სწორედ სამრეწველო დანიშნულების ობიექტი და ის შემოფარგლულია სხვადასხვა მიმე და გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებით. მიწის ნაკვეთების არსებული მდგომარეობა ვერ პასუხობს გამწვანებული ტერიტორიებისათვის დამახასიათებელ თვისებებსა და მდგომარეობას, ვინაიდან იქ დღეისათვის განთავსებულია სამშენებლო და სხვა მყარი ნარჩენები, ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილზე ნიადაგი დეგრადირებულია და ასეთი ზონისთვის არის გამოუსადეგარი, ხოლო მისი რეაბილიტაცია სარეკრიაციო ტერიტორიად მოითხოვს მნიშვნელოვან სახელმწიფო სახსრებს, რაც არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მიზანშეუწონელია. სამრეწველო ზონაში განთავსებული სამრეწველო ობიექტების ძირითადი ნაწილი აშენებულია გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში, ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს, ამასთან ისინი წარმოადგენენ კერძო საკუთრებებს და დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელია მათი სწრაფი გადაიარაღება. როგორც ცნობილია, ბოლო წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარება მზარდია და მოითხოვს შესაბამის მხარდაჭერას როგორც ინფრასტრუქტურის ასევე თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამრეწველო ობიექტების არსებობით. ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივად წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ზრდა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

არ ესწრებოდა -2 (ი. პატარიძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღების მიზეზი და მიზანია: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, საპრივატიზებო ობიექტების პრივატიზების გეგმაში ცვლილების შეტანა, N76 პუნქტით განსაზღვრული, პირობიანი აუქციონით განსაკარგი ობიექტის საპრივატიზებო თანხის გადახდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფრომებიდან 03 თვეში.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

არ ესწრებოდა -2 (ი. პატარიძე, დ. ჭიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ო ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 6. „ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გამო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის, სარგებლობის/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლო-სგან გათავისუფლების და პრივატიზებული ან/და სარგებლობის/მართვის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შესრულებისათვის დამატებითი ვადის მიცემის საკითხთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 453 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით გარკვეულ ეკონომიკურ საქმიანობებზე დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული

ფორსმაჟორული გარემოების გამო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის, სარგებლობის/მართვის უფლებით მიმდების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების და პრივატიზებული ან/და სარგებლობის/მართვის უფლებით გაცემული ქონების მიმდების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შესრულებისათვის დამატებითი ვადის მიცემის საკითხთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №20 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ა) იმ პირებს, რომლებსაც მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების (გარდა საპრივატიზებო/სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულებისა) შესრულების ვადა წარმოემვათ/წარმოემობათ 2020 წლის 1 მარტიდან და მიმართავენ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას პრივატიზებულ, სარგებლობის/მართვის უფლებით გადაცემულ ქონებაზე გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის დამატებითი ვადის მიცემის ან/და ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დარიცხული/დასარიცხი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების მოთხოვნით, აღნიშნული განკარგულებისა და მერის შესაბამისი აქტის საფუძველზე, მიეცემათ დამატებით 8 (რვა) თვის ვადა ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის და სრულად გათავისუფლდებიან აღნიშნულ პერიოდში დარიცხული/დასარიცხი პირგასამტეხლოსაგან. დამატებითი ვადის ათვლა დაიწყება 2020 წლის 1 ივლისიდან იმ პირების მიმართ, ვისაც ეს ვალდებულება წარმოეშობა 2020 წლის 1 ივლისამდე, ხოლო იმ პირებს, ვისი ვალდებულების შესრულების ვადა დადგება 2020 წლის 1 ივლისის შემდეგ, ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის დღიდან; ბ) იმ პირებს, რომლებსაც 2020 წლის 1 მარტიდან 2021 წლის 01 თებერვლამდე წარმოეშობათ საპრივატიზებო ან/და სარგებლობის (მათ შორის პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების გადაცემის) საფასურის გადახდის ვალდებულება და 2021 წლის 01 მაისამდე მიმართავენ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას საფასურის გადახდისათვის დამატებითი ვადის მიცემის მოთხოვნით, აღნიშნული განკარგულებისა და მერის შესაბამისი აქტის საფუძველზე მიეცემათ დამატებითი ვადა საპრივატიზებო/სარგებლობის (მათ შორის პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების გადაცემის) საფასურის გადასახდელად არაუგვიანეს 2021 წლის 01 ივნისამდე და გათავისუფლდებიან აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დარიცხული/დასარიცხი პირგასამტეხლოსგან.“.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

არ ესწრებოდა -2 (ი. პატარიძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №21 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 453 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით გარკვეულ ეკონომიკურ საქმიანობებზე დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №21 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება: ა) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გარდა ამ განკარგულების 12 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის (მათ შორის პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების) უფლებით მიმღებ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით, განხორციელდეს ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სარგებლობის (მათ შორის პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების გადაცემის) საფასურის (ქირა, საზღაური და სხვა) შემცირება ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო დაწესებული შეზღუდვების მოქმედების განმავლობაში (ეკონომიკური საქმიანობის შეჩერების/შეზღუდვის ვადით) გადასახდელი თანხის ოდენობით, შემდეგი წესით: წლიურ საფასურს გამოაკლდება ეკონომიკური საქმიანობის შეჩერების/შეზღუდვის პერიოდისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა, თვეების გაანგარიშებით (ეკონომიკური საქმიანობის შეჩერების/შეზღუდვის დაწყების და დასრულების თვეები იანგარიშება სრულად, მიუხედავად ეკონომიკური საქმიანობის შეჩერების/შეზღუდვის დაწყების და დასრულების თარიღისა).“ ბ) განკარგულებას 11 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 12 პუნქტი:

„12. 2020 წლის 28 ნოემბრიდან დაწესებული შეზღუდვების გამო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის (მათ შორის პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების) უფლებით მიმღებ პირებთან გაფორმებული



ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით, განხორციელდეს ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სარგებლობის (მათ შორის პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების გადაცემის) საფასურის (ქირა, საზღაური და სხვა) შემცირება ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო დაწესებული ეკონომიკური საქმიანობის შეჩერების/შეზღუდვის ვადაში (დეკემბერი, იანვარი) გადასახდელი თანხის ოდენობით, შემდეგი წესით: წლიურ საფასურს გამოაკლდება ეკონომი-კური საქმიანობის შეჩერების/შეზღუდვის პერიოდისათვის (დეკემბერი, იანვარი) გადასახდელი თანხის ოდენობა.“.

გ) განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. განემარტოთ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის (მათ შორის პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების) უფლებით მიმღებ პირებს, რომ ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებისათვის საჭიროა მათი, როგორც დაინტერესებული პირების მოთხოვნა (შესაბამისი შინაარსის განცხადება), რომელიც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ წარდგენილი უნდა იქნეს 2021 წლის 01 მაისამდე. ასეთი განცხადების არ არსებობა განიხილება ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებისადმი მისადაგებაზე უარის თქმად და სახელშეკრულებო ურთი-ერთობები გაგრძელდება არსებული პირობებით.“.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

არ ესწრებოდა -2 (ი. პატარიძე, დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 8. „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 სექტემბრის N73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 19 სექტემბრის N 73 განკარგულებით დამტკიცებული იქნა „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით

გასატარებელი ღონისძიებები, მიმდინარე ეტაპზე დასრულებულია განაცხადების მიღება და შესაბამისი კომისიის მიერ მიმდინარეობს განაცხადების გადარჩევა. წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია განისაზღვროს კონკრეტულად სულადობის მიხედვით ბინების განაწილების კრიტერიუმი, კერძოდ დგინდება, რომ შერჩეული ოჯახებისათვის ბინების გადაცემა მოხდეს შემდეგი წესით: 1 და 2 სულიანი ოჯახისათვის ერთ ოთახიანი ბინა, 3 და 4 სულიანი ოჯახისათვის ორ ოთახიანი ბინა, ხოლო 5 და მეტსულიანი ოჯახისათვის სამ ოთახიანი ბინა. შერჩეულ ოჯახს ხელმისაწვდომი საცხოვრისი გადაეცემა იმ შემთხვევაში, თუ იგი სხვა კრიტერიუმებთან ერთად აკმაყოფილებს კონკრეტული ბინისათვის ყოველთვიური შენატანის კუთხით დადგენილ კრიტერიუმს. ასევე დგინდება, რომ ოჯახს შესაძლებელია გადაეცეს სხვა სულადობისათვის განსაზღვრული ბინა იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომი საცხოვრისის საბოლოო განაწილების შედეგად დარჩება გაუნაწილებელი ბინა და ოჯახი სრულად აკმაყოფილებს სხვა სულადობისათვის განსაზღვრული დადგენილ მოთხოვნებს/კრიტერიუმებს, გარდა ოჯახების სულადობისა. წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით ხდება განისაზღვროს კონკრეტულად სულადობის მიხედვით ბინების განაწილების კრიტერიუმი, კერძოდ დგინდება, რომ შერჩეული ოჯახებისათვის ბინების გადაცემა მოხდეს შემდეგი წესით: 1 და 2 სულიანი ოჯახისათვის ერთ ოთახიანი ბინა, 3 და 4 სულიანი ოჯახისათვის ორ ოთახიანი ბინა, ხოლო 5 და მეტსულიანი ოჯახისათვის სამ ოთახიანი ბინა. შერჩეულ ოჯახს ხელმისაწვდომი საცხოვრისი გადაეცემა იმ შემთხვევაში, თუ იგი სხვა კრიტერიუმებთან ერთად აკმაყოფილებს კონკრეტული ბინისათვის ყოველთვიური შენატანის კუთხით დადგენილ კრიტერიუმს. ასევე დგინდება, რომ ოჯახს შესაძლებელია გადაეცეს სხვა სულადობისათვის განსაზღვრული ბინა იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომი საცხოვრისის საბოლოო განაწილების შედეგად დარჩება გაუნაწილებელი ბინა და ოჯახი სრულად აკმაყოფილებს სხვა სულადობისათვის განსაზღვრული დადგენილ მოთხოვნებს/კრიტერიუმებს, გარდა ოჯახების სულადობისა.“.

## **ა ზ რ ი**

### **გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

**საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ** აღნიშნა, რომ გუშინ კომისიის სხდომაზე განხილული იქნა საკითხი, სადაც გამოთქვა მოსაზრება და რჩევა იმავე პოზიციაზე, თუმცა მხარს უჭერს, რადგან ეხება ადამიანებს და ადამიანების საკეთილდღეოდ კეთდება, თუმცა აზრი არის განსხვავებული, მას ჰქონდა მხედველობაში ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლა სესხებთან, ასეთ საკითხებთან დაკავშირებით არის გრძელვადიანთა დაბალ პროცენტული განრიგი. ამას ალტერნატივა არ ახლავს, რადგან ერთ შემთხვევაში უფრო ხილდებით ადამიანის ქონებას, შემოსავალს, მაგრამ მეორე შემთხვევაში უზღუდავთ შესაძლებლობას.

**საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ** მოსახლეობის გასაგებად დაუსვა კითხვა პროექტის განხორციელების შემდგომი ეტაპის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა

განმარტა, რომ კომისიაა შექმნილი, რომელიც აქტიურად მუშაობის პროცესშია, დღეს გამოკვეთილია რიგი საკითხები. 300-ზე მეტი განაცხადია, თუმცა მოთხოვნებიდან გამომდინარე კრიტერიუმებს ყველა ვერ დააკმაყოფილებს. ვისაც ხარვეზი უდგინდება განესაზღვრება ვადები ხარვეზის აღმოსაფხვრელად. შემდგომ კომისია მიიღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, რომელიც ეცნობება ოჯახს.

**საკრებულოს წევრმა დავით მახარაძემ** დასვა შეკითხვები: კომისია როდის გამოავლენს გამარჯვებულს და კვადრატულობა როგორ განაწილდება, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილია ნუსხა დანართის სახით ბინების კვადრატულობის თაობაზე, კომისიას აქვს პირობა, რომ მიიღოს გადაწყვეტილება განაწილების შესახებ.

**საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ** დასვა კითხვა იაფი სახლის პრინციპი ხომ არ დაკარგავს ძალას, როცა ოჯახს შეიძლება არ აქვს საშუალება ხელფასის სამმაგი ოდენობის.

**საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ** აღნიშნა, რომ პროექტი დაწყებულია 2018 წელს და კომპანიამ, რომელმაც დაადგინა, გამოიყვანა ფორმულა, რომლის მიხედვითაც მოხდება დათვლა, იმ წესებში ეწერა სამმაგი ოდენობა.

**საკრებულოს წევრმა ბესარიონ გოგოტიშვილმა** წამოაყენა წინადადება აღნიშნული პროექტის შესახებ ბუკლეტების წარმოდგენის და სოციალურ ქსელში მოსახლეობის ინფორმირების მიზნით მასალის განთავსების თაობაზე.

**საკრებულოს წევრმა მუხამედ ართმელაძემ** დასვა შეკითხვა ბინების რაოდენობის და მათზე მოთხოვნის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნულ ეტაპზე 40 ბინაა განსაკარგავი, თუმცა პარალელურად დასრულების ეტაპზეა შემდგომი 40 ბინა. კომისიის გადაწყვეტილებით სრული სურათი ექნება ალექსანდრე ბათუმის მერიას, თუ რამდენი პრეტენდენტია დასაკმაყოფილებელი ბინებით.

**საკრებულოს წევრმა ლაშა სირაბიძემ** აღნიშნა, რომ მერიის ა(ა)იპ-ებში და სსიპ-ებში დასაქმებული პირების პრობლემები ბინების გადაცემის საკითხებში დროულად უნდა იქნას განხილული და მოგვარებული.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 9. „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებით დამტკიცებული იქნა „ხელმისაწვდომი საცხოვრისით“ სარგებლობის კრიტერიუმები - დანართი N1 და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტი - დანართი N2. მიმდინარე ეტაპზე დასრულებულია განაცხადების მიღება და შესაბამისი კომისიის მიერ მიმდინარეობს განაცხადების გადარჩევა. წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია დაზუსტდეს დანართი 2-ით (ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტი) განსაზღვრული ბინის გადასახადის ყოველთვიური შენატანის ოდენობა დანართი, კერძოდ ზუსტდება, რომ შემოსავლის ინდექსის გამოსათვლელ ფორმულაში და ცხრილში (1.1. პუნქტი) „ა“-ს მნიშვნელობა ნაცვლად „ბინის გადასახადის ყოველთვიური შენატანის ორმაგი ოდენობა“ განისაზღვრება ბინის გადასახადის ყოველთვიური შენატანის სამმაგი ოდენობით, ასევე ზუსტდება 1.1 პუნქტის მეორე აბზაცში შემდეგი წინადადება: „თუ ოჯახის შემოსავალი ნაკლებია ბინის გადასახდელი ყოველთვიური შენატანის ორმაგ ოდენობაზე დაზუსტდეს წინადადება: „თუ ოჯახის შემოსავალი ნაკლებია ბინის გადასახდელი ყოველთვიური შენატანის სამმაგ ოდენობაზე. ხოლო მე-3 პუნქტის (გამფილტრავი კომპონენტი) X<sub>35</sub> თანამამრავლის მნიშვნელობა ნაცვლად „ოჯახის წევრების ჯამური შემოსავალი თვეში ნაკლებია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის ორმაგი ოდენობა“ ზუსტდება „ოჯახის წევრების ჯამური შემოსავალი თვეში ნაკლებია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის სამმაგ ოდენობა“-ით, ხოლო X<sub>37</sub> თანამამრავლის მნიშვნელობა „ოჯახს დაქირავებული აქვს ბინა, რომლის ყოველთვიური გადასახადიც მეტია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის ორმაგი ოდენობა“ ზუსტდება „ოჯახს დაქირავებული აქვს ბინა, რომლის

ყოველთვიური გადასახადიც მეტია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის სამმაგ ოდენობა“-ით. წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით ზუსტდება ბენეფიციართა სარეიტინგო ქულის გამომთვლელ ფორმულაში მონაწილე სიდედების მნიშვნელობა, კერძოდ, შემოსავლის ინდექსის გამოსათვლელ ფორმულაში და ცხრილში (1.1. პუნქტი) “ა”-ს მნიშვნელობა ნაცვლად „ბინის გადასახადის ყოველთვიური შენატანის ორმაგი ოდენობა“ განისაზღვრება ბინის გადასახადის ყოველთვიური შენატანის სამმაგი ოდენობით, ხოლო მე-3 პუნქტის (გამფილტრავი კომპონენტი) X<sub>35</sub> თანამამრავლის მნიშვნელობა ნაცვლად „ოჯახის წევრების ჯამური შემოსავალი თვეში ნაკლებია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის ორმაგი ოდენობა” ზუსტდება „ოჯახის წევრების ჯამური შემოსავალი თვეში ნაკლებია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის სამმაგ ოდენობა“-ით, ხოლო X<sub>37</sub> თანამამრავლის მნიშვნელობა „ოჯახს დაქირავებული აქვს ბინა, რომლის ყოველ-თვიური გადასახადიც მეტია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის ორმაგი ოდენობა“ ზუსტდება „ოჯახს დაქირავებული აქვს ბინა, რომლის ყოველთვიური გადასახადიც მეტია ხელმისაწვდომი საცხოვრისისათვის ყოველთვიური გადასახადის სამმაგ ოდენობა“-ით.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №17 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული უმძიმესი გამოწვევების შედეგად დაზარალდა საზოგადოება, მოსახლეობამ დაკარგა სამუშაო ადგილები, შეუმცირდათ შემოსავლები და სხვა. გამომდინარე აქედან მიზანშეწონილად მიგვაჩნია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლების საფასურის განსაზღვრის შესახებ“

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №17 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანა, რაც ითვალისწინებს ვადის გადაწევას 2021 წლის 1 აპრილამდე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების ახალის წესის შემოღების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, რის შედეგადაც გაუმჯობესდება ქალაქის იერსახე და ასევე გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის ინტერესები გადასახადის გათავისუფლების ნაწილში.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:18

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18  
წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** **საკითხი 11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიღების მიზეზი და მიზანია: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით სარგებლობაში განსაკარგი ქონების (მიწის ნაკვეთი) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა, შემდგომი განკარგვის მიზნით. პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი ქონების სარგებლობის საფასურის სახით.

**ა ზ რ ი**

**გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :** **საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ პანდემიის პირობებში თუკი არსებულებს გაეწია საშე-ღავათო პირობები, ახალი რეგისტრირების შემთხვევაში პროექტის მიხედვით არ შეეხებათ შეღავათები და გადა-იხდიან გადასახადს მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ.**

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 12. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. N91-ში მდებარე 45 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (N 14386/25; 14,08,2020წ) მომართა ინგა ჯინჭარაძემ, რომლითაც ითხოვს ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. N91-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი: 05.23.12.006.01.509) მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემას, საზოგადოებრივი ობიექტის კაფე-ბარის (რესტორანი) საქმიანობისათვის გამოყენების მიზნით. განმცხადებლის განმარტებით აღნიშნულ ფართზე არსებობს მოქალაქეების - ემზარ ზოიძისა ვალენტინა ჩერნიას საიჯარო დავალიანება ქალაქ ბათუმის მერიის მიმართ და იღებს ვალდებულებას არსებული დავალიანების დაფარვაზე განწილვადებით მის მიერ გადასახდელ საიჯარო თანხასთან ერთად 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს ინგა ჯინჭარაძის განცხადება და მის სარგებლობაში არსებულ მოქმედ რესტორანთან ფუნქციურად დაკავშირებული

სივრცის გამოყენების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, 05 წლის ვადით, იჯარით სარგებლობაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, გორგილამის ქალაქ N91-ში მდებარე 45,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.23.12.037; მიწის საპრივატიზებო ღირებულება 26 325,0 ლარი; 5%-1316,25 ლარი; აუდიტის დასკვნა №ბთ/მ-96 08.10.2020წ.) მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 1 500,0 (ერთიათას ხუთასი) ლარის ოდენობით. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონება ინგა ჯინჭარაძეს პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაეცეს იმ პირობით, რომ იგი დაფარავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და ემზარ ზოიძესა და ვალენტინა ჩერნინას შორის ადრე არსებული, 2017 წლის 28 ივლისის სარგებლობის ხელშეკრულებით ქალაქ ბათუმში, გორგილამის ქ. N91-ში არსებულ 45,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.23.12.037) ახალი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის არსებულ სარგებლობის საფასურის დავალიანებას.

## **ა ზ რ ი**

### **გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

**საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ** დასვა შეკითხვა კომისიის სხდომაზე მსჯელობიდან გამომდინარე ფასის გაზრდასთან დაკავშირებით, წამოაყენა წინადადება ფასის გაზრდის (3000 ლარი) თობაზე, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ წელიწადში 1500 ლარი ექნებათ გადასახადი.

**სხდომის თავმჯდომარემ** განმარტა, რომ ხელშეკრულება 5 წლიანია და აუდიტის მიერაა შეფასებული და ამავე დროულად ძველი დავალიანება აქვს გადასახდელი.

**მომხსენებელმა აღნიშნა,** რომ საპრივატიზაციო ობიექტიდან გამომდინარე 5% შეადგინა 1300 ლარი და შესაბამისად, გაიზრდა გადასახადი 1500 ლარით.

**საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ** ქალაქ ბათუმის მერს დაუსვა კითხვა: რაულ თავართქილაძეს არაერთხელ დაუსვამს საკითხი, რომ ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი, ცენტრალური ტერიტორიის გზის სავალი ნაწილი კაფე-ბარებს აქვთ ათვისებული, თითქოსდა ერთ შემთხვევაში არის განლაგებული ორმხრივად და შუა ნაწილი არის დატოვებული სავალედ. ეს სირცხვილის კორიდორივითაა და ქალაქისათვისაც სიმანხინჯეა, რომელიც აუცილებლად აღმოსაფხვრელია.

**მომხსენებელმა აღნიშნა,** რომ აღნიშნული ობიექტი საზოგადოების სარგებლობის ნაწილს საერთოდ, საფერხმალო ბილიკთანაც არ აქვს კავშირი, იმიტომ რომ წარმოადგენს საფერხმალო ბილიკის შემდგომ ტერიტორიას, რომელიც მერიის მიერ იქნა დარეგისტრირებული,



რათა მოსახლეობა იყენებდა მომართვის გარეშე და დამოუკიდებლად. ამიტომ გამოითქვა სურვილი, რომ თვითნებურად არ მომხდარიყო სარგებლობა, დარეგისტრირდა და შეთავაზებული იქნა აღნიშნულ პირებზე. დამოუკიდებელი ობიექტის სახით არ გადაეცემათ. სამართლებრივი დავა მიმდინარეობს თანხის გადახდის ნაწილში, გადახდის შემთხვევაში დავა შეწყდება.

**საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ** აღნიშნა, რომ კომისიის გადაწყვეტილებით გადასახადი უნდა გაზრდილიყო 3000 ლარით, მერთან კონსულტაცია კომისიის წინადადების თაობაზე გაიარეთ თუ არა?

**ქალაქ ბათუმის მერის მ/შ არჩილ ჩიქოვანმა** აღნიშნა, რომ საკითხის არსი მდგომარეობს შემდგომში: აუდიტორიის მიერაა შეფასებული, ფასის კვლევა თუ გახდა საჭირო შეგიძლიათ დაადგინოთ ნება-სურვილის შემთხვევაში, კანონი განსაზღვრავს ფაქტს, რომ აუდიტმა უნდა შეაფასოს, მიუხედავად მძიმე პანდემიის ფონზე როცა შეუფასეს ადამიანს ქონება და ამ პირობებზე არის თანახმა, მუნიციპალიტეტის მიერ დამძიმებით სამართლებრივად ვერ მოიქცევიან. აუდიტორიული შეფასების მიერ განსაზღვრულია 1300 ლარი, ემატება 200 ლარი და შეადგენს 1500 ლარს. ობიექტური და სამართლებრივი მოცემულობაა წარმოდგენილი თანხის გადახდა.

**სხდომის თავმჯდომარემ** განმარტა, რომ მძიმე პანდემიის პირობებში შეფასება გაკეთებულია შესაბამისი აუდიტის მიერ, რის გამოც მას მიაჩნია, წარმოდგენილ პროექტზე მხარდაჭერა.

**საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ გორგილაძის ქუჩა და მისი მიმდებარე ტერიტორია არის ტურისტული ზოლი და წინა სხდომაზე დასვა შეკითხვა გუმბათის მიერ აშენებული მინის კონსტრუქციის თაობაზე, შესაბამისად ასეთი კონსტრუქციების დემონტაჟი უნდა მოხდეს.

**ქალაქ ბათუმის მერის მ/შ არჩილ ჩიქოვანმა** აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრების მიერ დასმულ საკითხებზე პასუხს საკითხის კენჭისყრის დასრულების შემდეგ გასცემს.

**საკრებულოს წევრმა მუხამედ ართმელაძემ** აღნიშნა, რომ კარგია ბიზნესზე ხელშეწყობა, თუმცა ბიზნესმა ხელი უნდა შეუწყოს ქალაქს. აუდიტი რეალურად ადგენს ფასებს მიწის ნაკვეთისას, რომელიც უნდა ისარგებლოს, მაგრამ მოცემულობაა ის, რომ ამ მიწის ნაკვეთებზე

აშენებენ კონსტრუქციებს, რომლის მიწის სარგებლობა ხდება 24 თვის განმავლობაში. შესაძლებლობის შემთხვევაში საკრებულოს სხდომაზე განხილვამდე ესკიზი იქნას დამზადებული და წარმოდგენილი. გამომდინარე აქედან აუდიტმა უნდა შეაფასოს მიწის ნაკვეთი თავისი მიზნობრიობიდან გამომდინარე.

**საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ** აღნიშნა, რომ სამართლებრივი დავა როცა მიმდინარეობს და ჯერ არ დასრულებულა, ამ საკითხთან მიმართებაში უმჯობესია თავშეკავება, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განკარგულების დამტკიცების შემთხვევაში აღნიშნული სამართლებრივი დავა აღმოიფხვრება თანხის გადახდის შემთხვევაში. სამართლებრივი დავა გაგრძელდება წლების განმავლობაში და მიუღებელ შემოსავალს ვერ მივიღებთ და ვერც აღნიშნული ობიექტი ვერ განვითარდება.

**საკრებულოს წევრმა ლაშა სირაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიზნესის ინტერესი უნდა დაიცვან.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 2(რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**ქალაქ ბათუმის მერის მ/შ არჩილ ჩიქოვანმა** პირველ რიგში საკრებულოს წევრს ლაშა სირაბიძეს მიულოცა აჭარის ა.რ. უმაღლესი საჭოს წევრობა და უსურვა შემდგომ საკანონმდებლო საქმიანობაში წარმატებები, მაღლობა გადაუხადა თანამშრომლობისთვის. მან საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა და აღნიშნა, რომ ქუჩების მონიშვნების საკითხი ცენტრალური ნაწილიდან არის დაწყებული და გაგრძელდება შემოერთებულ ტერიტორიებზეც. მრავალბინიანი კორპუსების დეზინფექციის საკითხის თაობაზე მეორე ეტაპზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ დეზინფექციის ნაწილი მხოლოდ და მხოლოდ განხორციელებულიყო ისეთ ადგილებზე, სადაც ხალხმრავალი შეხება იყო, ეს იქნებოდა საფოსტო ყუთები, ლიფტები და ლიფტის კაბინები. ასევე ის ადგილები, სადაც საბავშვო ატრაქციონებია და თავშეყრის ადგილებში სკამები და მაგიდები.

რაულ თავართქილაძის დასმულ კითხვაზე - გორგილაძის ქუჩის 101 და 103 ნომრის მაცხოვრებლების ეზოების კეთილმოწყობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეზოს და მიმდებარე ეზოს მცხოვრებლებს დღემდე აქვთ კომუნიკაცია ინვესტორთან, რის გამოც არ იქნა მიღებული ეზოს კეთილმოწყობის გადაწყვეტილება,

ვინაიდან განაშენიანების ნაწილში ათვისებას აპირებდა კონკრეტული ინვესტორი და მუდმივად მიმდინარეობს მოლაპარაკებები, მაგრამ გძელვადიანად თუ დავინახავთ მოსახლეობის შეუთანხმებლობას, მოსახლეობის აზრის და ინტერესის გათვალისწინებით არსებული პროექტით მერია განახორციელებს. მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად დასრულების თაობაზე აღნიშნა, რომ თანამონაწილეა იმ ინფრასტრუქტურული სამუშაოების, რომელიც ქალაქში მიმდინარეობს. მან ბოდიში მოუხადა ქალაქის მაცხოვრებლებს კონკრეტული ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების დროს შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომლებიც გარკვეული ტიპის დისკონფორტს განიცდის, მაგრამ ამავდროულად იცის, თუ რა მნიშვნელობის მატარებელი არის მიწისქვეშა კომუნიკაციები, სანიაღვრე სისტემები, საკანალიზაციო სისტემების მოწყობის საკითხი. ამ მიმართულებით ჰყავთ ევროპელი კონტრაქტორები ევროპული სტანდარტებით და ევროპელი ზედამხედველები, გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მიერ დაქირავებული, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებით სამუშაოებს ახორციელებენ. გამომდინარე აქედან, მისი არაერთგზის მოწოდებისა მათ აქვთ თავისი გაიდლაინდები და სამართლებრივად ისინი სახელშეკრულებო ჩარჩოებში ჯდებიან, ისევე როგორც სწრაფად და ეფექტურად მოხდეს მიწისქვეშა კომუნიკაციის მოწყობა, შემდეგ საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა. მეოთხე ფაზა მომავალი წლის პირველ ნახევარში დასრულდება და მოიხსნება დისკომფორტი. ბესარიონ გოგოტიშვილს უპასუხა, რომ უნდა შეიქმნას მაქსიმალური კონფორტი თანამოქალაქეებს და იმ ვიზიტორებს, რომლებიც სტუმრობენ ბათუმის მერიას, რიგი საკითხების ნაწილში აქვთ მომართვიანობა. ბუნებრივია გადახედვას საჭიროებს მერიის კანცელარია, თუმცა პანდემიიდან გამომდინარე სარემონტო სამუშაოების ხარჯები ამოღებულია მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან და მომავალ წელსაც არ არის იმის ფუფუნება, რომ რემონტზე და კეთილმოწყობაზე იზრუნონ. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ნაწილში დისტანციური მართვის კუთხით ექნებათ სიახლეები. ასევე ღია სივრცეების და საზოგადოებრივი სივრცეების ნაწილში სრულიად ეთანხმება კოლეგების მიერ დასმულ შენიშვნებს უსახური ნაგებობების განთავსებასთან დაკავშირებით. ბათუმის მერია მუშაობს ქალაქის მასშტაბით საზოგადოებრივი და ღია სივრცეების ინვენტარიზაციის წესის შემუშავების საკითხზე. პანდემიამ დაგვაყენა იმ გამოწვევების წინაშე, რომ ღია სივრცეებში უნდა გადაიტანონ კომერციული საქმიანობის სიმძიმეები. 2015 წელს მიღებული წესით მუშაობენ დღემდე და ამავდროულად კვლევაა ჩასატარებელი, თუ სად შესაძლებელია გამოყენებული იქნას ახალი სივრცეები და სად იქნას ათვისებული.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე**

**სულიკო თებიძე**

ოქმის სისწორეს  
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე – საკრებულოს აპარატის  
უფროსი

ვიზირებულია:

მ. ბერიძე – საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა  
და ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,  
განყოფილების უფროსის მ/შ

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს საქმისწარმოებისა და  
ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,  
სხდომის მდივანი

